ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 2 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ. [illegible] ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 118 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 118

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

მღვდელი იოანე ჩხენკელი, შვილები:—ექიმი მიხეილი, სახელმწიფო დუმის დეპუტატი აკაკი, ექიმი ლუკა, სტუდენტი კიტა, ნოლინა და მარიამი, რძლები და დები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის ძვირფასი მეუღლის, მეორეთა დედის, მესამეთა დედამთილის, ხოლო უკანასკნელთა დის

ირინე ბესარიონ გიორგაძის ასულის ჩხენკელისას.

პანაშვიდი ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე გაბრიელის ქუჩაზე მღ. სხირტლაძის სახლში.

გამოვიდა ახალი წიგნი.

პედაგოგიური კითხვების გარშემო.

(პასუხათ ჩვენ კრიტიკოსებს)

ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე. 5—1

დათიკო ქეზაძის სავაჭროში

შაქრის იაფი ვაჭრობა.

ნიხრზე ნაკლებათ იყიდება:

თავი შაქარი ბროცკის პირველი ხარისხის გირვანქა ერთი აბაზი

1 ф. 20 коп.

ფხვნილი (პესოკი) შაქარი პირველი ხარისხის ცხრამეტი კ. 1 ф. 19 к. 5—1

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიერ გახსნილ შკოლა-სახელოსნოში სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვეს. თხოვნის მიღება შეიძლება 20 აგვისტოდან. ეგზამენები დანიშნულია 27 აგვისტოდან. 1—1

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ურუშაძეების სამკურნალო

—აბანო.—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, სიემაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაცოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები უოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბაქტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 2 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

თავადაზნაურთა კერა.

მეორე სერია ოთხ ნაწილათ ეპილოგით.

ანონსი: მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება ზნე-დაცემული 3 ნაწილად, ჩერნოვისა და მიჩურინის მონაწილეობით.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

## აღმოსავლეთის ფრონტი.

**პეტროგრადი.** 30 ივნისი. ბობრსა და ორჟიცის შუა ჩვენი მზვერავები გერმანელების საწვრების მავთულის ღობეს მიუახლოვდენ და მტრის სადარაჯო რაზმი შენიშნეს. მზვერავებმა ხიშტებით იერიში მიიტანეს სადარაჯო რაზმზე. 8 კაცი დაჩხვლიტეს, 2 გერმანელი დაატყვევეს. კუჩეს ახლო ქვესკნელში სანაღმო ბრძოლაა. ორჟიცსა და ვისლის შუა ზოგ ჩვენ უბანს გერმანელები არტილერიის ძლიერ ცეცხლს უშენდნენ, მაგრამ დიდი ზარალი არ მოუყენებიათ. გრუდისკის ახლო მტრის ბატალიონი ცდილობდა ვისკინს მოახლოვებოდა, მაგრამ ცეცხლით შევაჩერეთ. მიშევკოს ახლო გერმანელების მფრინავმა ჩვენს ერთ გოსპიტალზე უშედეგოთ 3 ყუმბარა ჩამოაგდო. 21 თიბათვიდან კრასნიკის ჩრდილოეთით ავსტრო-გერმანელებთან ბრძოლის დროს 133 აფიცერი 16357 ჯარის კაცი დავატყვევეთ, რამდენიმე ათეული ტყვიის მფრქვეველი და ერთი დროშა ხელთ ვიგდეთ. ბიხავის აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა მტერზე იერიში მიიტანეს და გოლონზოვთან ავსტრიელების 17 აფიცერი და 900 ჯარის კაცი დაატყვევეს, 3 ტყვიის მფრქვეველი იხელთეს. ზემო ბუგის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა ჩვენს ნაწილებზე მენიავთან ენერგიული იერიში მოიტანეს, მაგრამ დიდათ დაზარალებული უკუვაქციეთ. გრაბოვცის აღმოსავლეთით იერიში მოვიგერიეთ. ობლიჩნის ახლო 30 დავატყვევეთ.

**პეტროგრადი.** 30 ივნისი. მთავარ სარდლის შტაბიდან ოფიციალური ცნობა: ბობრისა და ნარევის პირზე განცალკევებული ბრძოლები გრძელდება. ოსოვეცისა და ედვაბნოს ახლო 28 ივნისის საღამოდან 29 ივნისის დილამდე გახალისებული არტილერიის ცეცხლია. სკროდი—პისის—შკვის ველებზე სროლაა. მტერს ქვეითა ჯარის მცირე ძალებით 29 თიბათვეს სოფელ ტასარტაკოლშ ნის რაიონში იერიშები მოჰქონდა, რომელსაც წარმატებით ვიგერიებდით. დანარჩენ პირებზე შეტაკებები არ ყოფილა.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 29 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა. წასულ ღამეს იპრის სხვადასხვა პუნქტზე ზამენალოხთან შესამჩნევი ბრძოლა იყო. არასის რაიონში ჩვენს პოზიციებზე საწამლავი ნივთიერებით შეზავებულ ყუმბარების დაშენის შემდეგ შუა ღამისას მტერი ცდილობდა სუშეს სამხრეთ ნაწილებზე იერიშის მიტანას, მაგრამ ამაოთ. ღამის ორ საათზე მეორე იერიშმა შეძლება მისცა სასაფლაოს და თხრილების ზოგი ნაწილები დაეჭირა. სახელდახელო ყუმბარებით თხრილებში ბრძოლა გრძელდებოდა ნევილსენვაასტის სამხრეთ-აღმოსავლეთით და, როგორც სჩანს, ორივე მებრძოლ მხარისათვის ეს სროლა უშედეგო იყო. უაზის ჩრდილოეთ გორაზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. არგონებზე ნაღმებით და მგლეჯი ყუმბარებით არის ბრძოლა, რომელსაც ჩვენი არტილერია ეხმარებოდა. ვევრში ფრენანვერს ყველა ყალიბის ყუმბარებს უშენდა მტერი, რამდენჯერმე შეეცადა იერიშების მოტანას. ვოგეზებზე გერმანელებმა ამერსვილეიდან სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენი პოზიციების ახლო ნაღმი ააფეთქა და ქვეითა ჯარის რამდენიმე როტით ძლიერი იერიში მოიტანეს იერიში, რომელიც მოვიგერიეთ მტრის დიდი ზარალით. რამდენიმე დავატყვევეთ.

**ლონდონი.** 29 თიბათვე. ამერიკის ბარკმა „ნორმანდია“-მ ლივერპულში 14 კაცი გადასხა რუსის ბარკის „ლეო“ს მეზღვაურები; ბარკი აფეთქებულია გერმანიის წყალქვეშა ნავისგან პემბროკშირის სანაპიროს ახლო.

**პარიზი.** 30 ივნ. საღამოს ოფიციალური ცნობა: მტერმა ჩრდილოეთ რაიონში ჩვენ თხრილებს ყუმბარები დაუშინა, ლომბარძიდეNიუპორის წინ. ჩვენ ვუპასუხეთ და მტრის ორი ბატარეია ჩავაჩუმეთ. მიუხედავათ არტილერიის ცეცხლისა, მტერი განაგრძობდა ჩვენ თხრილებზე მახრჩობელა ნივთიერების გამავრცელებელ ყუმბარების დაშენას. კარანსთან კონტრ იერიშით თხრილების ნაწილის დაჭერა მოვახერხეთ, რომელიც გუშინ დავტოვეთ. მდ. ენის რაიონში სანაღმო ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ნაღმი ავაფეთქეთ, რომელმაც მტრის სანაღმო გვირაბები გაანადგურა. შამპანში დღემ წყნარათ განვლო. არგონებზე გამხნევებული სამხედრო მოქმედებებია განსაკუთრებით მარიი—ტერეზია—ფურდეპარი—პოლანდ—ოტშევოშეს სექტორებზე: ლეპრეტის ტყის რაიონში გერმანელები ორჯერ შეეცადნენ იერიშის მოტანას კრუადეკარმის მიდამოებში. პირველი მოგერებულ იქნა არტილერიისა და ქვეითა ჯარის ცეცხლით მტრისთვის დიდი ზარალით, მეორე, ვიდრე მტერი თხრილებიდან ამოძვრებოდა, შევაჩერეთ. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ლაფონტენელთან, აგრეთვე ჩვენ მოწინავე სანგარებთან და მიუნოტერის ჩრდილოეთით ვეტშენის მთაგრეხილთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### შვეციის პოზიცია.

შვეციის გაზეთი „დაგ-ტერი“—სწერს: „შვედელების მისწრაფებაა მტკიცეთ დაიცვან ნეიტრალიტეტი. შვედელებს ყველა ნაციასთან კარგი განწყობილება აქვთ და არავისთან ნაციონალური შუღლი მათ არ ემჩნევათ. პირიქით, შვედელებს თავის მოვალეობათ მიაჩნიათ შეიგნონ მებრძოლ სახელმწიფოების იდეალები, რისთვისაც იგინი იბრძვიან, მაგრამ ამასთანავე შვედელები იტოვებენ უფლებას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველ გვარ ბატონობას, უფლებების დარღვევას და ბარბაროსობას. მართალია შვეციაში არის ერთი მცირე რიცხვოვანი ჯგუფი, რომელიც ისე ფიქრობს, „როგორც გერმანელები“, მაგრამ ამ ჯგუფს ზეგავლენა ხალხზე უმნიშვნელოა და უბრალო ლაპარაკის მეტი არა გამოვა. შვეციის პოლიტიკა ნეიტრალიტეტის შესახებ იმდენათ ძლიერია, რომ არავის ეჭვი არ უნდა ქონდეს მის დარღვევაში, მიუხედავათ იმისა, რომ კერძო პირები არ ემორჩილებიან იმ წესებს, რომელიც სავალდებულოა ნეიტრალური პრესისათვის ომიანობის დროს“-ო.

### სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის მოლოდინში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგა სახელმწიფო სათათბიროსაგან არჩეული დეპუტაცია, რომელმაც სურვილი გამოსთქვა სათათბიროს საჩქაროთ მოწვევის შესახებ. დეპუტაციაში შედიოდენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელნი, გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა.

დეპუტაციამ პ. მილიუკოვს მიანდო გაეცნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმ დადგენილებისათვის, რომელიც დეპუტატთა თათბირმა მიიღო.

პ. მილიუკოვმა წაიკითხა განცხადების ტექსტი, რომელიც შემუშავებული იყო „უფროსთა საბჭოსაგან.“

განცხადებაში არის ერთი ადგილი: „თანამედროვე საქმის მსვლელობამ სახ. სათათბიროს წინ წამოაყენა საჩქარო საკითხები.“ ამის შესახებ გორემიკინმა იკითხა: „რომელია ასეთი საჩქარო საკითხები“.

მილიუკოვმა ამაზე მოახსენა, რომ მას შეეძლო ამის შესახებ გარკვეული პასუხი მიეცა თავმჯდომარისთვის, როგორც ერთი მიმართულების წარმომადგენელი, მაგრამ რადგან ახლა ის (მილიუკოვი) ლაპარა-

კობს სხვადასხვა ფრაქციების დევა-ლებით, მას არ შეუძლია ამ საკითხზე გარკვეული პასუხის მიცემა, რადგან დღევანდელ ჯერ გათვალისწინებული არა აქვს, თუ რა საკითხს მიაქცევს სათათბირო მეტს ყურადღებას. პროგრამა მუშაობისა მაშინ შემუშავდება, როდესაც გადაწყვეტილი იქნება სათათბიროს მოწვევის დრო.

ფრაქციათა წარმომადგენელთ საჭიროთ მიაჩნიათ სათათბიროს სასწრაფოთ მოწვევა: 1) რადგან საჭიროა შეჩერებული ცენტრალური ორგანოების სურსათის მისაწოდებლათ და 2) რადგან სხვა და სხვა საზოგადოებრივ წრეებს, ორგანიზაციებს, მრეწველთა წრეებს და სხვებს საჭიროთ მიაჩნიათ სათათბიროს მოწვევა.

ქვეყანა—დაუმატა მილიუკოვმა—სათათბიროსაგან ბევრს რამეს მოელის და მასზე დიდ იმედებს ამყარებს, საზოგადოება ღირსეულათ შეაფასა ის ცვლილება, რომელიც მოხდა და ამასთანავე იმედოვნებს, რომ დანარჩენი რეფორმებიც მალე განხორციელდებიან.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სრული იმედი გამოსთქვა საბოლოო გამარჯვების შესახებ და დასძინა, ახეთი თუ ისეთი ცვლილება სამხედრო ასპარეზზე ომზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს.

სათათბიროს ზოგიერთმა დეპუტატებს, სხვათა შორის მილიუკოვს და პურიშკევიჩს, სწამთ რუსეთის საბოლოო გამარჯვება, მაგრამ ამასთანავე საჭიროთ მიაჩნიათ ერთნაირი სიფრთხილე და ყველა გარემოების აწონ-დაწონა. მარტო ოპტიმიზმი საკმაო არ არის და დეპუტატებს საჭიროთ მიაჩნიათ აცნობონ მთავრობას თავისი შიში, ვინემ მიეცენ განუსაზღვრელ ოპტიმიზმს, რომელსაც, შეიძლება, ცუდი შედეგიც მოჰყვეს.

გორემიკინმა მოისმინა დელეგაციის აზრი და აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია სათათბიროს მოწვევის დრო გარკვეულათ აღნიშნოს, რადგან ამისთვის საჭიროა შეიკრიბოს სხვადასხვა უწყების მატერიალები.

ამაზე ფრაქციათა წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ მათ საჭიროთ მიაჩნიათ იცოდენ ის დრო, თუ როდის იქნება მოწვეული სათათბირო, რადგანაც საჭიროა მოიწვიონ პეტროგრადში დეპუტატები და შეიმუშავონ მოქმედების პროგრამა.

26 ივნისს მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა და მაშინ გამოიკვა სათათბიროს მოწვევის დროც. 27 ივნისს გორემიკინი აცნობებს მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სახ. სათათბიროს თავმჯდომარეს.

3. მილიუკოვის თხოვნით, გორემიკინი გააცნობს მინისტრთა საბჭოს დეპუტაციის აზრს.

**საფრანგეთის პრესა რუსეთის შინაური პოლიტიკის შესახებ.**

გაზ. „მატენი" თანაგრძნობით აღნიშნავს რუსეთის სამინისტროში მომხდარ ცვლილებასა და რუსეთ-პოლონეთის თაობას. გაზეთი ადასტურებს, რომ რუსეთის შინაურ პოლიტიკაში დიდი ცვლილება მოხდა. „ტემპსის" აზრით, პარლამენტის წრეების გავლენა რუსეთში თანდა-თან ძლიერდება.

**ამერიკა და გერმანია.**

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გარეშე საქმეთა მინისტრს ლანსინგს ბერლინში მყოფმა ამერიკის ელჩმა ჯერარდმა მოახსენა წარუდგინა გერმანიის მთავრობის განზრახვის შესახებ წყალქვეშა ბრძოლის თაობაზე. ეს განზრახვა არ ეთანხმება ამერიკელების მოთხოვნილებას.

ამავე დროს ამერიკაში გერმანელების თავდასხმა ძლიერდება. ყუმბარის აფეთქებით სრულებით განადგურებულია ცენტრალური საპოლიციო ნაწილი ნიუიორკში. კანადაში, კვებეკის ახლოს, აფეთქდა ასაფეთქებელ ნივთიერებათა ქარხანა. შიდი კაცი მოკლულია. აფეთქებს აბრალებენ ერთ ერთ გერმანელს, რომელიც წინათ პოლიციის აგენტათ ითვლებოდა.

## ვინ გაიმარჯვებს?

(შემდეგი იხ. „სამ." № 117).

# ვსთხოვთ ხელის მომწერლებს

# მეორე ნახევარი წლის ფული დროზე წარმოადგინონ.

## წერილი ონის ებრაელების

**რაბინის დავით ბააზოვისადმი.**

(დასასრული იხ. „სამშობლო" № 117).

ვსთქვი და ვიმეორებ:—ჯერ ძალა მერე სურვილი. ყველა პატიოსანი, გულწრფელი და ხალხისადმი და განსაკუთრებით, თვისი ერისადმი გულშემატკივარი იმას უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება, ხელი შეუწყოს ხალხის [illegible] ძინებას, რომ გონებრივათ და ზნეობრივათ, [illegible] გინდა ერი ძლიერია ყოველივე უცაბედ მოვლენების წინაშე, რადგანაც მას საამისო ძალა უკვე მოეპოვება, იცის თუ რისგან წარმოიშვა მიზეზი და რა გზით შეიძლება მისი გასწორება. როდესაც იცის მისი წარმომშობი მიზეზი, შეუძლია ამ უბედურების ძირს მოაგნოს და ყოველივე უბედურება სათავეშივე მოსპოს.

თუ ცოდნა ასეთი კარგი ძალაა ყოველივე უბედურების წინააღმდეგ, მით უფრო იგულისხმება ის, რომ უცოდინარი, გაუგებელი პირი, ყოველ უბედურებასთან სუსტია. სულ უბრალო, ცუდ მოვლენას შეუძლია მასზე გამანადგურებული გავლენა იქონიოს. შეიძლება ეს ჩვენს რაბინებს არც კი ესმოდესთ, მით უფრო, რომ ხალხს უქადაგებენ პალესტინის აღდგენას და იმავე დროს, რაც პალესტინის აღდგენისათვის მიუცილებელი მკვეთრი იარაღია, ამას კი არ აწვდიან.

ეუბნებიან: იზრუნეთ, რომ დაცემული იერუსალიმი აღადგინონ, ილოცეთ, რომ ისრაელთ ერი არ მოისპოს და არ დაიღუპოს, მის სამშობლოს გარეთაო, და ამავე დროს ხალხს ეუბნებიან ებრაელ ხალხისთვის სიღარიბე ისეთი კარგი რამ არის, როგორც თეთრ ჯორზე წითელი უნაგირიო. ძნელი გასაგები და ძნელი ასახსნელია ისეთი ადამიანის მოქმედება, რომელსაც თვისი თვითონაც არა ესმის რა. მე არ ვიცი, რით აიხსნება მათი სიტყვების გაუგებრობა, თუ არა მათივე გაუგებრობით. როგორ მოგწონს ბ. რაბინო! რაბინებს ეპატიებათ ეს დანაშაული მათი გაუგებრობით? მაგრამ, განა საყვედური, ცოდვების მხილება და პატიება გვიშველის? არა! მე მგონია შეიძლება კიდევ სხვა გზაც მოიძებნოს, თუ არ დავიზარებთ.

არიან, ბევრი თუ არა, იმდენი მაინც, ქართველ ებრაელებში ინტელიგენტები, რომ მათ შეუძლიათ ცოტა განათლება შეიტანონ თავის ხალხში. ამას წინეთ ერთ კარგათ მომზადებულ ინტელიგენტს შევეკითხე, თუ რას მიეწერება თქვენი ასეთი გულ-გრილობა საერთო საქმისადმი მეთქი, და უცებ და გარკვეულად მიპასუხა, ვის აქვს მაგისი დროვო. ესეც კმარა, მგონია, რომ უმაღლესი სწავლით კაცს თავი მო-

* *
*

* *
*

ლაჟვარდოვან ცის გუმბათზე აციმციმდა ვარსკვლავთ გროვა
და მიდამოს ფერ-მიბნედილს ვერცხლის მტვერი დაათოვა;
გაფერმკრთალდა სივრცე ცისა, გაფერმკრთალდა მთა და ბარი,
აციალდა ვარდის ტუჩზე ცის ცრემლები დანაცვარი.
აჰა, შეხეთ, აღმოსავლით ამოგორდა მშვიდათ მთვარე,
მთვარე ნაზი, შუქ-გამკრთალი, მონარნარე, მოელვარე
და მისცურავს ვარსკვლავთ შორის ნელის თრთოლვით სხივთა მფრქვევი,
ობოლ სულთა მობაასე და ტანჯვათა გამომწვევი.
ხავერდოვან მთის თხემიდან მსუბუქ ფრთებზე ნაზ-ნარნარად
გადმოფრინდა სიო გრილი და დაიწყო თრთოლვა წყნარად;
მთის მწვერვალსა, ცად აბჯენილს, მოეცალა ნისლთ სამოსი
და გამოჩნდა სიამაყე ჩემის ტანჯულ სამშობლოსი.
სიჩუმეა, სდუმს მიდამო, არ ირხევა არც ფოთოლი,
ზღვამ შესწყვიტა ლოცვა ღამის, ზვირთთა რხევა და ჩოჩქოლი;
მხოლოდ შორს, შორს მთის ორწოხით გამოისმა მღერა ტკბილი,
ციურ ჰანგთა უხვად მფრქვევი, ღვთიურ გრძნობით განბანილი.
ეს ვინ ჰკვნესის? ახ! ბულბული კვლავ დასტირის მშრომელ მხარეს
და შესჩივის გულამოსკვნით ცას და მიწას, არე-მარეს
„მარქვით, მარქვით, რად ექცევით ჩემს სამშობლოს, ქვეყნად რჩეულს,
ასე მკაცრად, ასე მტრულად, რად ედარეთ ბოროტ წყეულს?
ნუ თუ არ აქვს დასასრული ამ ტანჯვასა, სისხლთა ჩქერას,
ვაჰ, სამშობლოვ, როს მოვისმენ თავისუფალ შენს სიმღერას!"
და ვარსკვლავნი, ბადრი მთვარე, ისე ძრთიან, ისე ძრთიან,
თითქოს ტანჯვას და სიმწარეს ბულბულისას განიცდიან.
სიო გრილი ნარნარ რხევით ისე დაჰქრის და ჩურჩულებს,
თითქოს იგიც გრძნობს ბულბულის გულის სევდას, გულის წყლულებს.
და ამ ღამეს გული ჩემი ისე კრთის და ისე ღელავს,
ისე ტოკავს, ოდეს უ'მენ ბულბულის ხმას,—გულის მსერავს,—
თითქოს უნდა მკერდსა მოსწყდეს და ჰქროდეს, ვით ქარიშხალი,
და მოედოს ცას და მიწას, ვით მრისხანე ცეცხლის ალი.

**ალ. რიონისპირელი.**

## ერთი დღე სოფლად.

(განცდა).

გაგრძელება იხ. „სამშობლო" №-117.

ყველაფერი ამ ქვეყნად წარმავალია, უკვდავია მხოლოდ მისწრაფება ადამიანისა ბუნებისადმი... ბუნება და მხოლოდ ბუნება არის სპეტაკი, სწორი, სამართლიანი!..

ადამიანმა თვითონვე დაამახინჯა თავისი ბუნება და, დაე, იკვნესოს, ვიდრე თავის ცოდვებს თვითონვე არ გამოისყიდდეს!..

ბუნებაში არ არის წვრილმანი და არ არის სხვილმანი. არის მარტო ერთი სიცოცხლე დაუსრულებელი, სიცოცხლე ხმა შეწყობილი, სიცოცხლე ერთი მეორისაგან დაფასებული, ერთი მეორისაგან შეწონილი.

საცოდავი სანახავი იქნებოდა ბევრი წიფელა, მის ქვეშ რომ ნორჩი ბალახი არა ბიბინებდეს და ტყის მშვენიერი ყვავილნი არა ფშვინავდენ.

საბრალო სანახავი იქნებოდა ბოროჯღლიანი მუხა, მის გვერდით რომ არ ირხეოდეს გრუზა რცხილა, არ შრიალებდეს ფრთა-გაშლილი თხილი, არ ბუტბუტებდენ გულჩათხრობილი ვერხვები.

თვალს წაუხდენდა კაცს ტრიალი მინდორი, რომ იგი კვარცხლბეკად არ უხდებოდეს თვალ უწვდენელ მთას,—ჰალარით მოსილ მთას,—რომელიც ცის გუმბათთან შედარებით მხოლოდ უბრალო ღილია, რომელიც დაუბნევია ბუნებას თავის ხავერდოვან პერანგზე, რომ დრო გამოშვებით მოზუროს იგი მწარე ფიქრებით, და მერე გადაიყრის რა შუბლიდან შავ-ღრუბლებს, თვალებ მოკრიალებულმა შესძახოს ცას:

— მომეცი სითბო.. სინათლე... სიკეთე და მე გაჩვენებ რა ლამაზია, რა ჰარმონიულია ჩემი სიცოცხლე!..

მაშ ისწავლეთ სიცოცხლე ბუნებისაგან, ადამიანებო!..

ან რას ნიშნავს თქვენი ერთი-ღამთქნარება სიცოცხლე იმ უკვდავებისათვის, რომელიც განსახიერებულია ჩვენის სამშობლოს ბუნებაში?!...

აბა, შეხედეთ ამ მინდვრებს, ამ ტყეს, ამ მთებს, ამ მდინარეებს... იცით, გესმისთ იმათი ენა? განგიცდიათ მათი ძლიერება, აგიწონიათ მათი საიდუმლოება? გისარგებლნიათ მათის სიმდიდრით, იცით კი საიდან და როგორ მოუაროთ?

— არა, ჩვენ არა ვიცით-რა და ქვეყანას კი ხსნას ვუპირებთ! ჩვენ დავშორდით ბუნებას და ამაყებს თავისის უვიცობით,—მხოლოდ ბორკილები და ხუნდები გაგვიჩნდია! წამოვიძახე რიონის ხეობის სიკეკლუცე-სიდიადით თავბრუ დასხმულმა და მწარე ამოოხვრის შემდეგ ფანჯარას გადავეყუდე!..

ამ დროს მატარებელი ერთ მოსახვევში მიიკლაკნებოდა. პატარა კორდზე ტან-აყრილი მუხები ირხეოდენ და მათ ძირში გამონასკვული ყვავილები ისე საყვარლად იღიმებოდენ, რომ გინდოდათ ჩაეკოცნათ, როგორც ჩაჰკოცნით ხოლმე უმანკო, საიდუმლოთიასავსე თვალებს თმა ხუჭუჭა თქვენის ბავშვისას!..

თვალი გავაყოლე ამ ყვავილებს და მათმა უბრალო სილამაზემ დამავიწყა ყოველივე ბოროტება მხეცად ქცეულ ადამიანებისა...

მაგრამ ეს იყო ერთ დრანგს...

მატარებელმა შეჰკივლა და რიონის სადგურის ბაქანზე გაჩერდა.

ხალხი ჭიანჭველასავით აირია.

მათ შორის გამოჩნდა ყავარჯნებზე დაყრდნობილი, გაყვითლებული ჭაბუკი. გული ჯვარ-მენდლებით ჰქონდა მორთული, მაგრამ თვალებში ისეთი სევდა ჩაჰკვდომოდა, რომ მის დამნახველს, თვალწინ დამიდგა ის სისხლის მორევი, რომელშიაც ახლა მთელი კაცობრიობა სცურავს.

ოცნების მთიდან ძირს დავეშვი და ბუნების სიდიადით აღტაცებული კვლავ ყოველდღიურ სიგლახეში გავეხვიე.

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება).

აქვს, და იმდენათ დაზარმაცებულია საერთო და საზოგადო საქმისათვის, რომ ცოტაოდენი დროც არაა ქვს ამაზე იფიქროს. ნეტავი ვიცოდე, რას ფიქრობდენ და რა მიზნით მიილტვოდენ უმაღლესი სასწავლებელისაკენ! ნუ თუ ცოდნამ, კულტურამ, და მაღალ სასწავლებელის დიპლომმა ასე დალალა ეს ვაჟბატონები, რომ ცოტა ოდენი მუშაობაც არ შეუძლიათ!? როგორც ეტყობა ცოდნასა და გონებრივ განვითარებასთან ერთად, მათში განვითარებულა ყოველივე გულგრილობა და გულცივობა თვისი ერის კეთილ დღეობისათვის. და განა ამათაც ეპატიებათ? უმაღლესი განათლებაც ასეთი უნდა?!

დასასრულ ორიოდე სიტყვა, თქვენთან! როგორც გავიგე, 15 წელზე მეტი იქნება, რაც ონის ებრაელების რაბინათ ბრძანდებით. ჩემდა სამწუხაროთ, მე თქვენ დღემდის საკმაოთ ვერ გიცნობდით. რამდენათაც ამ ახლო ხანში გაზ. „სამშობლოში მოთავსებული თქვენი წერილები წავიკითხე, მაქვს საბუთი ვიფიქრო, რომ თქვენ საკმაოთ მომზადებული პირი ბრძანდებით. გეტყობათ კარგათ იცით ჩვენი ერის წარსული და აწმყო ისტორია და, რამდენათაც თქვენი წერილების შინაარსიდან სჩანს, თქვენში საკმაოთ სჩქეფს ეროვნული სისხლი. მიკვირს, რატომ აქამდის არ იღებდით ხმას? ისიც მიკვირს თუ რამ გამოიწვია, რომ მაინცა და მაინც, მოხვდით ისეთ ადგილზე, როგორც არის „ონი“ და არა უფრო გამოჩენილ ადგილი.

ვიცი, რომ თქვენც კარგათ იცნობთ ქართველ ისრაელების ცხოვრებას, მათ კულტურულ ავლა-დიდებას, და რატომ აქამდის ხმა არ ამოგიღიათ.?

შეიძლება თავის გასამართლებელი საბუთიც გქონდეს, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია არ გისაყვედურო, რომ დღემდის ასე რიგათ გჩუმებული იყავით. იმედი მაქვს, მომავალში მაინც არ დასტოვებთ ქართველ ისრაელების ცხოვრებას უყურადღებოთ და მათ სალათას ძილისაგან გამოაღვიძებთ. გისურვებთ კეთილი მიზნის კეთილათ მიღწევას.

**დ. პალესტინელი**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ქუთაისის ქალ. გამგეობამ დაადგინა, დახუროს ორპირის ქუჩაზე გადამდებ სენთა საავადმყოფო. მსუბუქ ავადმყოფს მოათავსებენ ამავე ქუჩაზე დაქირავებულ ესებუას სახ. ში. ეს დადგენილება სისრულეში მოსაყვანათ ქალ. გამგეობამ აცნობა ქალ. საავათმყოფოს უფროს ექიმს ბ. როდზევიჩს.

✦ გუშინ დილის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა ქუთ. საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ბ. ფედოროვი.

✦ ქუთ. გუბერნატორმა, დეპუტატ ჩხენკელის თხოვნით, უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სასურსათო თანხიდან ქუთ. გუბერნიის დამშეულთათვის გადადებულიყო სესხის სახით 750000 მან. ბ. გუბერნატორს ამ დღეებში ცნობა მოუვიდა, რომ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება.

✦ წყალდიდობით მიყენებული ზარალის გამორკვევის თადარიგს ქუთ. გუბერნატორი უკვე შეუდგა.

✦ დეპუტატმა ჩხენკელმა ბ. გუბერნატორს სთხოვა იშუამდგომლოს უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა გამოგზავნილი იქნეს ჰიდროტეხნიკი წყალდიდობით დაზარალებულთა რაოდენობის გამოსარკვევათ და მდინარების კალაპოტების შესაკეთებლათ.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „პედაგოგიური კითხვების გარშემო (პასუხად ჩვენს კრიტიკოსებს)“ ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგენიძისა. წიგნი შეიცავს 153 გვერდს. წიგნი კარგათ არის გამოცემული და ღირს ერთ აბაზათ. იყიდება თ. ა. მთავარიშვილის მაღაზიაში.

✦ **აბრეშუმის პარკი.** ქუთაისში პარკის ყიდვა ვაჭრებმა დაიწყეს 12 ივნისიდგან, დღემდის მათ უყიდიათ სულ 4,500 ფუთი პარკი. საზოგადო სასწორთან შემდგარი არის კომისია ქუთაისის გუბერნიის საბრეშუმო სადგურის ინსტრუქტორის ი. ქუთათელაძის მეთაურობით, კომისია ენერგიულათ მუშაობს და თვალყურს ადევნებს ყოველივე უწესოებას. კომისიაში არიან: პ. მებურიშვილი, კ. მესხი, ვ. სვანიძე, გ. ჭოლაძე და ნ. ჩოგოვაძე.

✦ როგორც სოფ. მათხოჯიდან გვწერენ, 25 ივნისს იქ მდ. ცხენის წყალი ძალზე ადიდებულა. წყალს ამ სოფელში წაუღია 39 სახლი. დაუხრჩვია აგრეთვე ბევრი შინაური ოთხფეხი და შინაური ფრინველები.

✦ ჯარში გაწვეულთა დამხმარე თავად-აზნაურთა კომიტეტს დღემდი ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დაურიგებია 2,000 მანეთი.

✦ კვირას, 5 ივლისს, ქალაქის ბაღში ქუთაისის დრამატიული საზოგადოება გამართავს დიდ საჯარო სეირნობას, თავის საშუალების გასაძლიერებლათ.

✦ გუშინ, 1 ივლისს, ქუთაისის სადგურზე შემდეგი უბედურება მოხდა. დილით ათ საათზე სადგურის ქარხანაში (დეპო) ღებავდენ მაზუთის დიდ ქვაბს. ქვაბის გადაბრუნების დროს—ქვეშ მოეტანა სამი მუშა. ერთ მათგანს იაკობ კინწურაშვილს ქვაბმა გადაუარა და თავი გაუჭეჭყა. კინწურაშვილი იქვე გარდაიცვალა. დანარჩენი ორი მუშა გადარჩა.

✦ როგორც დ. ხარაგოულიდან გვწერენ იქაურ ინტელიგენციის მეთაურობით, 25 ივნისს, აკაკის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, გაიმართება აკაკის საღამო.

✦ მოსკოვიდან ამ დღეებში ჩამოვიდა იქაური ცნობილი ფირმის ნილოვის წარმომადგენელი პ. პაჩაპილი, რომელიც პარკს გარგ ფასებში ჰყიდულობს. გუშინ ქუთაისის ბაზარზე პირველი ხარისხის პარკი 17 მანეთად ფასობდა მეორე ხარისხის 15 მანეთად. პარკი ამჟამათ ყოველ დღე შემოდის 300-დან 500 ფუთამდე.

როგორც ქ. ნუხიდან გვწერენ იქ აბრეშუმის ნედლი პარკი 20 მანეთად ფასობს. ხმელი კი 65 მანეთად.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში აბრეშუმის პარკს ყიდულობენ ძმ. გოკიელები, ავ არქისოვი და ამხ. და მოსკოვის ფირმის ნილოვის წარმომადგენელი.

✦ პარასკევს, 3 ივლისს, ქალაქის თეატრში მართა მღივანის, დათიკო ჩარკვიანის და ან. მურუსიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცნობილი პიესა „**სამშობლო**“ ისტორიული დრამა 5 მოქ. და 7 სურათად. ფასები დაკლებულია.

### ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება.

(გაგრძელება იხ. „სამშ.“ № 117).

პ. წულუკიძე. შეეკითხება გამგეობას და კრებას, დღეს ა. კრინიცკის ვასამართლებთ, თუ საზოგადო საკითხებს ვარჩევთ; თუ საქმეს ვაკეთებთ იმაზე ვილაპარაკოთ.

თავჯდომარე. წინანდელმა კრებამ დაადგინა ბ. კრინიცკის საყვედური გამოეცხადოსო, ახლა ამ კრებაზე შეგიძლიათ ან მოახსნათ და ან დაამტკიცოთ და დაადასტუროთ.

ს. რობაქიძე. სულ ერთია, ბატონებო, ბ. კრინიცკი საყვედურს მაინც არაფრათ თვლის, რადგან მისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ა. კრინიცკი (გაცხარებული) მე არ ვღებულობ თქვენ საყვედურს, თორემ კრებისას კი, ს. რობაქიძე—რომელსაც სხვა და სხვა კომისიაში გირჩევენ, თუ დრო არა გაქვთ, ნუ მიიღებთ თავზე; აქ თავის მართლება უადგილოა; დანაშაულობა უნდა აღიაროთ, რომ თქვენი დაუდევრობით საზოგადო საქმე შეაფერხეთ.

გრ. ლალიძე. აცხადებს, თუ ბ. კრინიცკი მოვიდა დღეს კრებაზე და ბოდიში მოიხადა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამ საზოგადოებას პატივს სცემს და ანგარიშს უწევს, ამიტომ ამის გამო შემოაქვს ასეთი ფორმულა: კრება მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბ. კრინიცკიმ დრო ვერ იშოვა და გამგეობის რევიზია სხვასთან ერთად ვერ მოახდინა.

კრებამ მიიღო ასეთი ფორმულა.

გამგეობის წევრი ი. ბაქრაძე ლაპარაკობს სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ და მუხლებით არჩევს კომისიის მოხსენებას და სხვა და სხვა განმარტება-ახსნის შემდეგ გამოყავს დეფიციტი არა იმდენი, რამდენიც საარ. კომისიას გამოსვლია, არამედ 100—120 მან. დასასრულ უკეთებს შემდეგ დასკვნას: „ნამეტანი გართულდა საზოგადოების წარმოება, განსაკუთრებით ამ ომის დაწყების შემდეგ და თუ გსურთ კარგად იქნას დაყენებული საქმე, გადაიდოს თანხა და მოწვეულ იქნას სპეციალისტი მოანგარიშე, რომელიც სტამბისა და გამგეობის ანგარიშებს რიგიანად აწარმოებს.

გამგეობის წევრი ს. ხუნდაძე წიგნების გამოცემა-გავრცელების შესახებ იძლევა განმარტებას; ამბობს, რომ სარევიზიო კომისიის შენიშვნა, წიგნებიდან (დავთრები) არაფერი სჩანს გამოცემისა და წიგნების გაყიდვის შესახებო, არ არის სამართლიანი, რადგან ყველა გამოცემული წიგნების შესახებ დაწვრილებითი ცნობებია გამგეობის წიგნში; რაც შეეხება იმას, თუ რამდენი წიგნი გავყიდეთ, ან რამდენი დარჩა გაუყიდელი, ამის შესახებ ცნობების შეკრება შეუძლებელია, რადგანაც პროვინციებიდან გვიგვიანებენ და არ გვაძლევენ ცნობებს; ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, თუ რამდენი ფული შემოვიდა ამა თუ იმ წიგნიდან, რაც ჩვენ დავთრებში აღნიშნულია.

ბ. მოსეშვილი ლაპარაკობს ყულაბებისა და საკვიტანციო წიგნების შესახებ; აღნიშნავს, რომ ყულაბები ცოტა შემოსავალს იძლევა და საკვიტანციო წიგნაკებს თავის დროზე არ აბრუნებენ აგენტები; ბოლოს ეთანხმება ბაქრაძის დასკვნას და იტყვის, რომ ბუღალტერიის მცოდნეს არ მოუვა ასეთი პატარა შეცდომა ანგარიშებში, ხოლო ისეთ ადამიანს, რომელიც ამ მოვალეობას სხვათა-შორის ასრულებს, ყოველთვის მოუვა ასეთი შეცდომა.

ტ. ჯაფარიძეს შესწორება შეაქვს სტამბის ანგარიშების შესახებ; იგი ლაპარაკობს: მიუხედავათ იმისა, რომ გამგე სტამბისა გარდაიცვალა, ომია, სტამბა მაინც ასწორებს ანგარიშებს და მოგებას სტოვებს.

გ. ურატაძე აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიას არავითარი განზრახვა არ ქონია უსიამოვნება გამოეთქვა თავისი მოხსენებით კრებაზე, თუ წიგნების გამოცემის შესახებ ვთქვით, რომ გამგეობის მიერ ნაწარმოები დავთრები არავითარ წარმოდგენას არ იძლევა, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვერავითარი ანგარიში ვერ გამოვარკვიეთ ამ დავთრებში და ვერც გამგეობამ აგვიხსნა ეს;

ამასთანავე სტამბის, საწევრო ფულების და ყულაბების ანგარიშების შესახებ გამოთქმულ შესწორებაზე ორატორები პასუხსა და განმარტებას ძლევს.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

# წყალდიდობის მსხვერპლნი

ულმობელმა სტიქიონმა არც გვაშტიბის საზოგადოება დასტოვა გაუნადგურებელი. ხუთი დღის განმავლობაში კოკისპირული წვიმა მოდიოდა. მოვარდა ნიაღვრები, რომელმაც დათესილი ყანები სრულიად გაანადგურა. გლეხების სასოწარკვეთილებას საზღვარი არა აქვს. ჯერ ისედაც უმუშევრობის გამო ყველა სახნავი ადგილი არ იყო დათესილი და რაც იყო ისიც ნიაღვრებმა წალეკეს.

ადიდდა მდინარეები, განსაკუთრებით ცხენის წყალი, რომელმაც დიდათ დააზარალა სოფლები: ღვადი—გელაველი და ძეძილეთი.

აბობოქრებულმა მდინარემ ბევრს მოსტაცა უძრავი და მოძრავი ქონება.

საშიშარი შესახედავი იყო აზვირთებული მდინარე, რომელსაც მოჰქონდა თუ სახლი—ბაგებ—სახურავი ჰურჭლები, აკვნები დამრჩვალი ბავშვებით და სხვა—საწყალი გლეხის ოჯახის მონატაცებით. უმეტეს საშინელებას იგრძნობდა ადამიანი, როდესაც ტალღები მოაგორებდენ ადამიანის სხეულებს. რამოდენიმე დამრჩვალი კაცი დაიჭირეს—ს. ძეძილეთს, მაგრამ ვინ არიან—საიდან არიან არ იციან—ჯერ არ დაუსაფლოავებიათ. მოჰქონდა წყალს ქალი, რომელსაც ჰქონდა გულში ჩახუტებული—პატარა ბავშვი—მდინარე შუაგულში იკრავდა—დაჭერა შეუძლებელი იყო.

საქონლის მსხვერპლს საზღვარი არა აქვს. ხიდები და ბორანები ცხენის—წყალზე ხომ სულ წაიღო. გორდისკენ და ლეჩხუმისკენ მიმოსვლა ცხენით შეჩერებულია.

სოფელ ცხუკურში მოდის მდ. სემი. მისმა ადიდებამ დიდათ დააზარალა სოფლელები. ბევრი წისქვილი წაიღო, ბევრი დაამტვრია. ჯერ სიმინდის შოვნა სჭირს და აწი დაფქვა გასჭირდება.—ასეთს აუტანელ მდგომარეობას განიცდის ზემოხსენებული საზოგადოება სხვებთან ერთად შიმშილი, უსახლობა ბრძოლის ველიდან—ლვიძლი შვილების ცუდი ამბები—ხომ მთლად სასოწარკვეთილებას უორკეცებს ბევრს.

საჭიროა, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და დახმარების წყარო გამოენახოს წყლით დაზარალებულებს.

**რამიშ შვ—ძე.**

# პასუხად დავით ოცხელს.

მე, ქვემორე ამისა ხელს მომწერელი, ი. ცინცაძე, ღირსად არა ვსთვლი დაწვრილებითი პასუხი გავცე იმ თქვენ წერილს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად „სახალხო ფურცელში“ მოათავსეთ, ვინაიდან თქვენი „თავის მართლება“ სრულიადაც არ მოითხოვდა ჩემ კერძო საქმეებში ხელის ფათურს.

სარედაქციო და შინაურ საქმეების გამოფენა არავისათვის საყურადღებო არ არის თორემ მე დავამტკიცებდი რომ თუ კი როდისმე „გამჭირებია ვალების გადახდა“, ისევ იმ „კულტურული“ ექსპლოატაციის ბრალია, რომელსაც ეწევით თქვენ და თქვენი მსგავსნი ჩემისთანა მშრომელ ხალხის წინააღმდეგ.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ: თქვენ ისარგებლეთ შემთხვევით და ომამდე შეძენილ ქაღალდში, რომელის ოზმაც თქვენ ორი მანეთიც არ გიღირთ, შვიდი მანეთი გადამახდევინეთ და მარტო მე კი არ მომექეცით ასე, ასე ექცეოდით ყველას, ვიდრე მე არ გამოვამჟღავნე თქვენი საქციელი. (ჩემი მხილების შემდეგ, იმ ქაღალდს თურმე ხუთ მანეთად დაუწყეთ ყიდვა. ეს ერთი სარგებლობა მაინც მოჰყვა ჩემ წერილს.

სამკეც ფასის მაგივრათ ახლა მხოლოდ ორკეც ფასს ახდევინებთ მუშტარს). *)

რაც შეეხება თქვენ რწმუნებას, რომ მე თქვენი მემართოს რამე, მართალი არ არის თქვენი მოვალეა 1914 წლის გაზეთ „იმერეთის“ გამომცემელი კოლეგია, და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია, რომელიც 1915 წელს დარსდა აქ არაფერს შუაშია. თქვენი გროშიც არა მმართებს, ხოლო სხვის ვალების გადახდა ხომ იმ არაკს ემსგავსება ქართლში რომ ამბობენ: თამარაშნელმა მაჩაბელმა კაცი მოჰკლა და ცხინვალელ ებრაელს კი მარჯვენა მოსჭრესო.

შეეკითხებოდით მაინც თქვენ მახლობელს, კოლეგიის წევრს, განა კოლეგიის ვალი პირადათ მე, ი. ცინცაძეს, უნდა გადამეხადნა?

მაშ, რათ ინებეთ პირადათ ჩემი კერძო საქმეების განქიქება? იქნებ გეგონათ ამითი დამამცირებდით? უკაცრავათ, კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ! თავის გასამართლებელი რომ ვეღარა იპოვეთ—რა, ლობე-ყორეს მოედეთ.

„ვალების ძნელათ გადახდა“ კი არ არის სამარცხვინო, სამარცხვინოა ის ჩარჩობა და დაბრიყვება, რომლის მეოხებითაც თქვენისთანები ადამიანს ... და თან თავსაც მართლულობენ.

მაგრამ როდემდე ...

ვსთხოვ „სახალხო ფურცელს“, ეს ჩემი წერილი გადაბეჭდოს.

**ი. ცინცაძე**

*) ვსთხოვ იმ პირებს, რომელთაც საქმე ჰქონიათ დ. ოცხელთან ქაღალდის თაობაზე დაამოწმონ, რომ მარტო „სამშობლოს“ რედაქციას არ მიუყიდია ქაღალდი [illegible]

**ი. ც.**

# ქართველ ქალთა საშუალო სასწავლებელი.

(გასასრული, იხ. „სამშობლო № 117).

უნივერსიტეტი რუსულიც არა გვაქვს და ქართულს ვინ მოგვცემს და რომც მოგვცენ ჩვენ რაი მერე? იქ ისწავლიან ფულიანები, ხალხის უმრავლესობა—კი ისე ემტერება ფულს, როგორც მუსულმანი ღორის ხორცს და ნემეცი სტუმარს. ახალი ტიპის გიმნაზიას, როგორც ვხედავთ, ისეთი ფართო მნიშვნელობა არასოდეს არ ექნება, როგორც ზოგი-ერთები ფიქრობენ. კარგს ნიადაგზე დაყენებული სასწავლებელი მაშინ არის სასურველი, როცა ღარიბებს შეძლება მიეცემათ—იქ აღზარდონ თავისი შვილები და, თუ ისინი ვერ გაზრდიან, ვინც გაიზრდება, ის მაინც ხალხის საკეთილდღეოდ უნდა ზრუნავდეს. მაშ, როგორი ტიპის უნდა იყონ ეს ახალი სასწავლებლები, რომ ხალხს შესაფერი სამსახური გაუწიონ? აი—კითხვა, რომლის გარშემოც დიდი დავიდარაბაა ატეხილი და ჯერაც ვერ გაურკვევიათ იგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვეულებრივ ორომტრიალს საქ. საზ. კრებებზე.

თუ გწამსთ, რომ მდაბიო ხალხის შეგნებაზეა დამოკიდებული ერის კეთილ-დღეობა, მაშ ისიც იწამეთ, რომ ამ ხალხს გვერდში უდგია და ემსახურება სახალხო მასწავლებელი, რომელიც პირმშო შვილია დაჩაგრული კლასისა და კიდეც იზიარებს მისს ჭირსა და ლხენას. თუ ყველა ეს გჯერათ, მაშ დაიჯერეთ, რომ **ყველაფერზე უფრო საქართველოს ესაჭიროება შეგნებული სახალხო მასწავლებელი.** თქვენ იძულებული ხართ, ამაზედაც დამეთანხმოთ. თუ ყველაფერი ეს გჯერათ, მაშ რა არის მიზეზი, რომ გიმნაზიებში გინდათ მოაწესრიგოთ სწავლის საქმე და სამასწავლებლო სემინარიებს გვერდს უვლით; იცით თუ არა, რომ ქართულმა გიმნაზიებმა ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს სახალხო განათლებას? დიახ, თუ იცნობთ სახალხო სკოლებს, გეცოდინებათ და ამიტომ საჭიროა—დაარსდეს ქართული საოსტატო სემინარიები, რომლებიც მომზადებულს მასწავლებლებს მოგვცემენ და მასთან ერთად მთელი გუბერნიის სახალხო განათლებას უხელმძღვანელებენ.

თუმცა ქალთა გიმნაზიები მასწავლებლებს ამზადებენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ტიკინებსაც გვიჩავენიან, რაც სემინარიას არ დაემართება. ბევრს გიმნაზია-დამთავრებულ ქალს გზა ეხსნება უნივერსიტეტისაკენ და სახალხო მასწავლებლობას არ დაგიდევს. სემინარია—კი აიძულებს მათ სამი წლიწადს მაინც იმუშაონ სახალხო განათლების წმინდა ასპარეზზე, რაც დიდს ნაყოფს მოუტანს ჩვენს დაავადებულს ქვეყანას. მართალია, დღეს არ შეგვიძლია, რომ ცალ-ცალკე დავიარსოთ სემინარიები, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ერთს სემინარიაში იქნებიან ქალებიც და კაცებიც. იქ ისინი თავიდანვე მიეჩვევიან შეერთებულ მუშაობას და შემდეგ ცხოვრებაშიაც სოლიდარულად იმოქმედებენ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

გზა ნახულია, დააარსეთ ქართული სამასწავლებლო სემინარიები თბილისსა და ქუთაისში, თუ გინდათ ხალხს სამსახური გაუწიოთ. ნუ გაშინებთ ის მოვლენა, რომ სემინარიიდან უმაღლესს სასწავლებლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ წავლენ. ვისაც უნდა უმაღლესი სასწავლებელი და კაბინეტში აზროვნება, მიბრძანდეს გიმნაზიაში და ვისაც ხალხის კეთილდღეობა სურს, გავიდეს სოფლად და მათთან გამოუნახოს ხალხის მძიმე ჭრილობებს. ჩვენ გავათავეთ; სიტყვა უფლების მქონებლებს ეკუთვნის.

ნიკ. ქამუშაძე.

## დროა თავდარიგს შევუდგეთ.

საერთაშორისო ომმა არც ჩვენი სამშობლო-საქართველო დასტოვა უყურადღებოთ; მასაც მოსთხოვა მსხვერპლი და მანაც, მსგავსად თავისი წინაპრებისა, გაგზავნა თავისი რჩეული რაინდნი, მამაცი შვილები ბრძოლის ველზე, სადაც ასი ათასობით ასე უწყალოდ იხოცებიან. სამწუხაროთ წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რას გვიქადის საბოლოოდ ასეთ გმირულად თავის განწირვა საქართველოს საუკეთესო მამაცი შვილებისა, მხოლოდ „ცუდათ თუ მაინც არ ჩაიარა მათმა ასეთმა განწირული სულის კვეთებამ“ და თავის განწირვამ და ტანჯულს სამშობლოს მოუტანა რამე, მათი ხსოვნა ხომ უკვდავი იქნება მაშინ და წითელი ასოებით ჩაიწერებიან იგინი სამარადისო მსოფლიო ისტორიაში.

სამწუხარო და სავალალო კიდევ ის არის, რომ ამ მსოფლიო ომზე არა ნაკლებ სიმკაცრეს არც ბუნება იჩენს; დღიდან ომის დაწყებისა, ბუნებაც მთლად შეიცვალა: ხან წვიმს, ხან თოვს, ხან სეტყვას გვიგზავნის, ხან გრგვინავს—ზანზარებს მრისხანე ხმით ცა და დედამიწა და ლამის ერთმანეთს შეეხეთქონ; ხან ბერავს მრისხანე ქარი და ხან კიდევ ნიავი. გარეთ სისხლის ღვრა, შიგნით კარს გვადგია სიმშილი! აი სურათი დღევანდელი საერთოდ ჩვენი მდგომარეობისა. რომელს გაუძლოს საბრალო ერმა? ბუნება აღარ გვზოგავს უდიერათ გვეპყრობა და საშველი გზა კი ჯერჯერობით არსადარა სჩანს. როგორც ეტყობა, ეს მეოცე საუკუნეც იმას იმეორებს, რაც მეცხრამეტე საუკუნემ გაიმეორა თავისს დასაწყისში და თავისი სიმკაცრით წარუხოცელი ბეჭედი დაასვა ქართველ ერს. ჯერ ისიც კმარიყო, რა შემაძრწუნებელი სიმშილობაც მძვინვარებდა ჩვენს სამშობლოში და ახლა კიდევ, ჩვენდა საუბედუროდ, სიმშილობას კვლავ სიმშილობა ემატება. ჯერ თოვლმა და შემდეგ ხანგრძლივმა წვიმებმა სამუდამოდ გააფუჭეს, გაანადგურეს ნათესი: მოსავლის, როგორც დანამდვილებით ვიცი და ჩემი თვალითაც ვუყურებ, განსაკუთრებით მაინც ზემო იმერეთში, არსად წამოკეთების პირი აღარ უჩანს, ყანებში ზოგგან ტბაა გამდგარი, ზოგი ნიაღვარმა წალეკა და ზოგი სეტყვამ გააფუჭა. თუ რომ კიდევ სადმე ზეზე დარჩენილი, აგერ ზაფხულის შუა რიცხვები ახლოვდება და საუბედუროდ ჩვენდა ერთი გოჯის ოდენა არაა, ჩაყვითლებული და გაუმარგლელი შიგ ჩატირის მიწას. ერთის სიტყვით, ისე გაფუჭებული ყანები დღეს ყველგან, რომ მოსავალი წელს სრულიად არ მოვა, ვენახებიც და იგინიც ისე გაფუჭდნენ, რომ მოსავალს იქიდან არავინ ელის. მიუხედავად იმისა, რომ წელს ჩარჩმა ვაჭრებმა ისარგებლეს დროთი და ფუთს შაბიაბანს 50—60 მანეთად ჰყიდდნენ, საცოდავმა სოფლის მუშებმა, როგორც იქნა, შეიძინეს იგი მაინც, დროზე უაქიმეს, მაგრამ ამ აქიმობამ მაინც ვერა უშველა-რა და ვენახები მთლად ერთიანად გადაიბუგნენ; ფოთოლი აღარ გააჩნიათ, ზოგს ნაცარი მიაყარა, ზოგს ყურძენი გაუშავდა და მარცვლები გაცვიოდა. ასეთი სამწუხარო სურათის-გამო, დღეს ყველგან სოფლის ხალხი საშინელს სასოწარკვეთილებას მისცემია, დიდს მწუხარებას შეუპყრია იგი. გარედან ომი უსერავს გულს, შიგნით ულმობელი სიმშილი უბრიალებს თვალებს ერთის სიტყვით, დღეს ხალხი ენით აუწერელის მდგომარეობაშია ჩაცვენილი და არ იცის ვის მიმართოს საშველად. ხშირად გაიგონებთ ამ ჟამად სოფლად ხალხის გულის სიღრმიდან აღმოხეთქილს მწვავე კილოთი შემდეგს ოხვრა-გოდებას:

— ჰაერიც ალბად იმიტომ შეიცვალა, რადგან ეს სისხლის მღვრელი ომი რომ ატყდაო; წაესიენ ერთმანეთს და ეს ქრისტიანი ხალხი შეუბრალებლად, უწყალოდ ხოცვენ; იქ ომი კლავს საბრალო ჩვენს შვილებს და აქ კი, ვინაც დარჩენილი ვართ, სიმშილი მოგვითავებს ხელსო; ჭეშმარიტად ყოველივე ღვთის ნებაა, უნდა ბარემ ეს ბოროტებით ალსავსე გზაკრული წუთის სოფელი მოსპოს, გადარეცხოს ნიაღვრით და შემდეგ სულ ახალი ცხოვრება დააარსოს“ და სხვა.. აი ასეთი ცხოვრების მიერ წამოყენებული მწვავე საკითხებითაა დღეს ხალხი სოფლად გამსჭვალული. დროა, ბატონებო, დრო, ვისაც ცოტაოდენი გული შეგვტკივათ, დღესვე ვიფიქროთ რამე; დროა ახლავე აქიდანვე შევუდგეთ თავდარიგს, გამოვნახოთ რაიმე საშუალება და გაუმკლავდეთ ულმობელ სიმშილს, თორემ დაბოლოს მარტო თითებზე კბენანი ვერას გვიშველის და სამწუხაროდ სინანულიც ერთობ გვიანღა იქნება.

ი. ძერულისპირელი.

## ჩემი აზრი ქართული გალობის შესახებ.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 117)

თუ გვინდა რომ ჩვენმა გალობამაც ფეხი მოიმაგროს და არ გაჰქრეს, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. თუმცა ჩვენ უძველესის დროიდან გვაქვს ჰარმონიული სამხმოვანი გალობა, მაგრამ იგი დღეს ევროპიულთან შედარებით ღარიბია თავისი ჰარმონიით და აი ამ ჰარმონიას ექივრება შევსება და გაუმჯობესება. ჩვენი ძველი გალობა უმდიდრეს მასალას წარმოადგენს ხელოვნებისათვის თავისი თავისებური აკორდებითა და მუსიკალური ფორმებით. ამ მხრით განსაკუთრებით შესანიშნავია იმერული კილო. ჩვენი გალობა მხოლოდ მამაკაცთა ხმებისათვის არის შედგენილი და, თუ ქალები და ბავშვებიც ღებულობენ მონაწილეობას იგინიც მამაკაცთა ხმით ჰგალობენ, რაიც უხერხულია. იგი დიდი გუნდისათვის არაა დანიშნული და უმეტესათ მას ჩვენში სამი ადამიანი ასრულებდა. ოთხხმოვანი გალობა კი ქალ-ვაჟთა შერეული დიდი გუნდისთვისაა, რომელიც გაცილებით უფრო დიდია და უფრო ატყვევებს სმენას. მაშასადამე ჩვენც უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი გალობა ოთხხმოვანად ვაქციოთ. მაგრამ როგორ? ზოგიერთები უარს არ ამბობენ ჩვენი გალობის გაოთხხმოვანებაზე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ძველი ხმები შეუცვლელად დარჩეს თავის ადგილას და მხოლოდ მიემატოს მეოთხე ხმა. ამას მუსიკის მცოდნე არ იტყვის, რადგან ეს ყველა შემთხვევაში შეუძლებელია. ჩვენი გალობის შეკეთება სწორედ იმიტომ უფრო ძნელია, რომ სამხოვანია და ამ ხმების ყოველ ადგილას ურთიერთობის შეუცვლელად მეოთხე ხმის ჩამატება ყოვლად შეუძლებელია. ამ მხრით უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს იმერული გალობა. სამაგიეროთ ამ სამხმოვანებაში ბევრი თავისებური აკორდებია და მუსიკალური ფორმები, რომლითაც შეუძლია კარგად ისარგებლოს ხელოვანმა. რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვეცადნეთ დავიცვათ ხმათა ძველებური შეთანხმება და მსვლელობა, რამდენათაც ეს ჰარმონიას არ დაარღვევს, მაგრამ თუ კი იგი ამახინჯებს მას, მაშინ უსათუოდ უნდა შეიცვალოს და ისეთი მსვლელობა მიეცეს, რომელიც ჰარმონიის სიმშვენიერეს ხელს შეუწყობს. თვით უმთავრესი მელოდიაც კი, რომელშიაც ჩამარხულია საგალობლის უმთავრესი დედა-აზრი, იგიც უნდა გასალამაზდეს, თუ კი იგი სადმე უხერხულია, მაგრამ ისე, რომ თავისი ელფერი მაინც შერჩეს და არ დაკარგოს. ჩვენს გალობასა აქვს ზოგიერთი აკორდი და ხმათა მსვლელობა ისეთი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპიული მუსიკის თეორიას, მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა შეგვაშინოს და, თუ იგინი სმენას არ ეწინააღმდეგებიან ძალიან, ხოლო დამახასიათებელნი კი არიან ჩვენი მუსიკისა, უსათუოდ უნდა დაცული იყონ. ჩვენებურ ბანს დიდი ნახტომები არ უყვარს და ესეც შეძლებისა დაგვარად უნდა დავიცვათ. გარდა ამისა ჩვენ სიმღერა-გალობას ერთი განსაკუთრებული თვისებაცა აქვს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი მუსიკისა და არსად სხვაგან არ მოიპოვება,—ეს ისაა, რომ ყოველთვის თავდება უნისონით, ანუ წმინდა ქვინტით უტერციოდ და, ჩემის აზრით, ესეც შენახული უნდა იქნეს. განსაკუთრებით უფრო საჭიროა ოთხხმოვანი გალობის შემოღება იქ, სადაც უფრო მოძალებულია უცხო გალობა.

საზოგადოთ იმისთვის, რომ ჩვენი სიმღერა გალობის დამუშავებას მოჰკიდოს კაცმა ხელი, საჭიროა ჯერ თვით ეს სიმღერა-გალობა შეისწავლოს და შეიგნოს მისი სული და არსება, ბრმად არ დაემორჩილოს ევროპიულ მუსიკის თეორიას, არამედ მოიშველიოს იგი იმდენად, რამდენადაც ჩვენს მუსიკას თავისებურობას არ დაუკარგავს. ასე იქცეოდნენ და იქცევიან რუსეთის საუკეთესო კომპოზიტორები. ასე მოიქცა სახელ-განთქმული გლინკა, რომელმაც დიდებული ნაწარმოებნი შეჰქმნა რუსული ხალხური მოტივებისაგან და საქვეყნოდ გამოიტანა რუსული მუსიკა. როდესაც ამ მოტივებს იცნობთ, მაშინვე მიხვდებით რომ იგინი ნამდვილი რუსული არიან, თუმცა წმინდა ხალხურისაგან კი განსხვავდებიან თავისი ფართო შინაარსით. გლინკამ ახალი ხანა შეჰქმნა რუსული მუსიკის ისტორიაში, მაგრამ თანამემამულეებმა პირველად ვერ იცნეს იგი, ვერ დააფასეს და ებრალაც კი აიღეს. გლინკამდის მომზადების ხანა იყო. ეს იყო ევროპიული მუსიკის ბრმად მიბაძველობის ხანა, რაიც ყოველ ერში და ყოველ დარგში აუცილებელია. დაბადებითგანვე პირდაპირ ფეხზე ადგომა არავის შეუძლია და თუ დღეს ჩვენი სიმღერა-გალობის შემუშავებასაც ვინმე ხელს მოჰკიდებს, მაგრამ მისი ნამუშევარი სრული და უნაკლულო არ იქნება, ამისათვის ჩვენ იგი არ უნდა დავახრჩოთ. თუ კი თავიდანვე სურვილს არ ჩავუკლავთ ყველას, შეიძლება შემდეგში ჩვენც გამოგვიჩნდეს ჩვენი გლინკა და ბორტნიანსკი. ჩვენ ერთი ცუდი ზნე გვჭირს: თუ ვაქეთ ვინმე, —ნეტაი იმას, თუ ვაძაგეთ და—ვაი იმას.. დაე ყველამ იმუშაოს და სცადოს თავისი ნიჭი. ეს საზარალო კი არა, სასარგებლო იქნება საქმისათვის, მიტომ რომ ამ ვარჯიშის დროს გამოირკვევა სინამდვილე და ბოლოსაც იქნება გამოჩნდება ისეთი ნიჭი, რომელიც იტყვის ახალ საფუძვლიან სიტყვას. კარგი ნაწარმოები თავის-თავად გაიკვლევს გზას, ხოლო ცუდი თავისთავად გაჰქრება.

მე გამოვსთქვი ჩემი ზოგადი მოსაზრებანი ჩვენი სიმღერა-გალობის შესახებ, რაც კი ჩემი დაკვირვებით შევნიშნავე, ხოლო უფრო დაწვრილებით გამოკვლევა და გამომუშავება ჩვენი მუსიკის ფორმებისა და თავისებური კანონებისა ჩემზე უფრო მცოდნეთათვის მიმინდვია.

კ. მაღრაძე.

## დაბა-სოფელი.

**ტყიბული** (ოკრიბა). ოკრიბის სხვა სოფლებთან შედარებით ტყიბული უფრო წინ სდგას. არსებობს მეტად ფართო მადანი ქვა-ნახშირისა, რისთვისაც უკვე დიდი ხანია რაც ქუთაისიდან გაუყვანიათ რკინის გზა. ქვა-ნახშირზე მუშაობს განუწყვეტლივ 600-მდი მუშა. ტყიბულიდან გადის რაჭისკენ ფართო გზა-ტკეცილი, საოცამდე სავაჭრო სახლოსნო, სიდანაც მახლობელ სოფლელებს, მეტათ კი რაჭველებს გააქვთ სანოვაგე და სხვა და სხვა საქონელი. აქ დაარსეს ორკლასიანი სამინისტრო შკოლა. აქვე არსებობს სამკითხველო და ინტელიგენტთა რიცხვიც მეტია აქ, მაგრამ ნათქვამია „არ გეთეთრდება ყორანი, ბევრიც რომ ხეხო ქვიშითა“—ო და ეს ანდაზა აქაურებზე ითქმის. მართლაც რომ დაუდევარი ხალხი არ იყონ და საზოგადო საქმეზე ცოტას მაინც სცდილობდნენ, მაშინ ტყიბულის საქმეს ბევრათ უფრო გააუმჯობესებდნენ. ნუთუ დაუდევრობა არაა, როდესაც სხვაგან სოფლადაც კი აარსებენ კოოპერატივებს და სხვა ბევრს რაიმე ასეთ კულტურულ დაწესებულებას და აქ კი ერთი კოოპერატიული ფურნეც კი ვერ დაუარსებიათ, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სუფთად დამზადილი პურის შეძენა? ახლა კი იძულებული არიან იხარჯონ პური, რომელიც ისე უსუფთაოდ არის გამომცხვარი, რომ მისი ჭამა შეუძლებელია.

სამკითხველო თუმცა არსებობს აქ, მაგრამ ძლიერ უყურადღებოთ არის მიტოვებული. მოთავსებულია ისეთ პატარა ოთახში, რომ ათი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ და რასაც წლიურ ქირას ამ ოთახში იხდიან ორი წლის ქირა რომ წინდაწინ დახარჯონ კარგ სახლს ააშენებდნენ სამკითხველოსთვის. მაგრამ ამაზე სრულიადაც არ იწუხებს თავს სამკითხველოს გამგეობა. ისეთი პირები ამბობენ უარს საწევრო ფულის გადახდაზე, რომლებიც უფრო მეტ დახმარებას უნდა უწევდნენ, არა თუ საწევრო ფულის გადაუხდელობით სამკითხველოს დაკეტვით ემუქრებიან.

სკოლაც დიდიხანია დაარსეს აქ, მაგრამ სკოლისთვის სახლი ჯერეც არ აუგიათ არჩეულ პირებს, რომლებსაც დავალებული ქონდათ სკოლის სახლის აგება, ჯერაც არა გაუკეთებიათ რა. საჭიროა ამათი გამოცვლა და ამათ მაგიერ სხვა უფრო საზოგადოებისთვის სანდო პირების არჩევა, რომ სკოლის საქმე რიგიანათ მოაწყონ, თორემ მოსალოდნელია სკოლის საქმე სრულიად ჩაიშალოს.

აქ ქუჩაში ისეთი ლაფი სდგას, რომ გავლა შეუძლებელია. რაჭისკენ მიმავალი კარგი გზის საშუალებით გაადვილებული იყო რაჭასა და ტყიბულ შუა [illegible] ტვირთის ზიდვა, მაგრამ ამ [illegible] დროს გზა ნი[illegible] მიმოსვლა გაძნელებულია. გზის მეთვალყურე ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

მგზავრი.

—

**ს. დაბლა-საქარი** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი დაშორებულია დ. ყვირილას 2—3 ვერსის მანძილზე. მცხოვრებლებს ხშირი მიმოსვლა აქვთ ზესტაფონში, სადაც თავის ნაწარმოებს ყიდის და ყიდულობს საჭირო საქონელს.

მიუხედავად ამისა, მცხოვრებლებმა ვერ შეიგნეს გზების საჭიროება და ყოველ მიმოსვლის დროს ტალახში იფლებიან, თუ წვიმიანი ამინდია. გზის შეკეთება კი მათგან დიდს ხარჯს არ მოითხოვს. მით უფრო ადვილი მოსახერხებელია გზის გაკეთება, რომ ქვა და ქვიშა იქვე ახლოს მდ. ყვირილის ნაპირზე უხვათ მოიპოვება.

საჭიროა მხოლოდ მცხოვრებლებმა უკუაგდონ ჯიუტობა, ერთმანეთს მიემხრონ და ყველა საქმე კარგათ დაგვირგვინდება.

მგზ. ა. ნიკოლაშვილი.

## ღია წერილი

(წევის სკოლის მასწ. ბესარ. გაჩეჩილაძეს).

ბ. ბესარიონ! თქვენ ამა წლის ივნისის 12 ს თანადასწრებით მღ. ელეფთერ აბესაძისა და მასწ. აკაკი გაჩეჩილაძისა ყოვლის უმიზეზოთ მიწესთან გაასწორეთ ჩემი პიროვნება, რისთვისაც იძულებული ვხდები გამოგიწვიოთ სამედიატორო სამართალში. ჩემი მხრიდან მედიატორეთ ვასახელებ სამსონ ლევანის-ძეს კაპანაძეს.

გაძლევ ერთი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენი მხრიდანაც იქნეს არჩეული მედიატორი.

ამასთანავე დავსძენ, რომ მეტყუანმა მხარემ გადაიხადოს თანხმად მედიატორების გადაწყვეტილებისა ერთ ერთი კულტურული დაწესებულების სასარგებლოთ ოცი მანეთი, ხოლო განაჩენი კი უნდა გამოცხადდეს ამავე გაზეთში, —წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ ყველა თქვენ მიერ ჩემდამი მომართული სიტყვები და ამასთანავე—საქმენი თქვენი საგმირონი მეც გამოვაქვეყნო გაზეთის ფურცლებზე და შემდეგ კი მივმართავ სამოქალაქო სასამართლოს.

დავით ჯუღელი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**გამზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

## ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რეზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი საშაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.** თ.